საკრებულოს წევრის საქმიანობის
ყოველწლიური ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: **გორის მუნიციპალიტეტი**

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: **მერაბ გოხელაშვილი**

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: **ფრაქცია „გორი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე**

ფრაქციის წევრობა: **,,გორის საქართველისთვის“ წევრი**

კომისიის (კომისიების) წევრობა: **ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი.**

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): **პროპორციული წესით**

საანგარიშგებო პერიოდი: **2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.**

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი
   - მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 15 სხდომაში.
2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:
   - განვიხილეთ და გადაწყვეტილება მივიღეთ 230 საკითხზე
3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა:
   - საკითხები, რომელიც ეხებოდა მერიის და საკრებულოს თანამდებობის პირებისთვის ხელფასების გაზრდას, საწვავის ლიმიტების გაზრდას, დაუსაბუთებლად თანამშრომელთა რიცხოვნობის გაზრდას, პირდაპირი წესით მუნიციპალური ქონების განკარგვას (გარდა სახილმწიფოსთვის გადაცემისა) 2022 ბიუჯეტის დაჩქარებული წესით განხილვას, მერიის სამსახურების/ააიპების დაუსაბუთებელ და გაუმართავ ანგარიშებს.

4. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა:

- ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 12 სხდომაში მონაწილეობა.

5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:
   - მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 39 საკითხის განხილვაში მონაწილეობა.

6. ფრაქციის სხდომებში მონაწილეობა:
   - ვარ ფრაქცია „გორი-საქართველოსთვის" თავმჯდომარის მოადგილე. მონაწილეობა მივიღე ფრაქციის 5 სხდომაში და მონაწილეობა მივიღე 13 საკითხის განხილვაში.

7. ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები:
   - ჩემი და ჩვენი ფრაქციის ინიცირებით განხორციელდა მუნიციპალიტეტში შინაური ცხოველების მოვლა პატრონობის წესების განახლება და ახალი რეგულაციების შემოღება.

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა:
   - ჩავატარე მოსახლეობასთან 3 შეხვედრა, რომელიც ეხებოდა აღმაშენებლის გამზირზე წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ასევე შევხდით მეტყველების და სმენის უნარ შეზღუდულ ადამიანებს და განვიხილეთ მათთან ერთად მუნიციპალურ ტრანსპორტში შეღავათების დაწესების საკითხი, ასევე შევხდით გორის პირველი საშუალო საჯარო სკოლის რეაბილიტაციის საკითზე საინიციატივო ჯგუფს და პირველი სკოლის კურსდამთავრებულებს.

9. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა:
   - სამივე შეხვედრას ჯამში ესწრებოდა 20 მდე მოქალაქე.

10. სხვა განხორციელებული საქმიანობები:

- ვაო ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲗᲐᲘ ᲐᲝᲡᲔᲘᲣᲚᲘ ᲒᲔᲘᲓᲔᲝᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲭᲝᲡ ᲧᲔᲕᲝᲘ, მონაწილეობა მაქვს მიღებული საბჭოს დებულების და სამოქმედო გეგმის დოკუმენტის შემუშავებაში. ყოველთვის აქტიურად ვმონაწილეობ მუნიციპალიტეტებისთვის მნიშვნელოვანი საკითების განხილვაში. მიმდინარე წლის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობ ადგილობრივ და ცენტრალურ მედიასაშუალებებთან მთელ რიგ პრობლემებთან დაკავშირებით.

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

ვგეგმავ, აქტიურად ჩავერთო ბიუჯეტირების პროცესში, რისი საშუალებაც წინა წელს არ მოგვეცა. მომდევნო წლის საანგარიშო პერიოდში ასევე ვგეგმავ აქტიური მონაწილეობა მივიღო ააიპ ების საქმიანობის დეტალურ შესწავლაში, ასევევ ადგილზე შევისწავლო და გადავამოწმო მუნიციპალური ბიუჯეტით განხორციელებული სხვადასხვა პროექტები.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების:
მამუკა ფანიაშვილის, მერაბ გოხელაშვილის და მაია ბოლაშვილის
ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი 2022 წლის 28 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს წევრები: მამუკა ფანიაშვილი, მერაბ გოხელაშვილი და მაია ბოლაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ქ.გორის მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ნონა ასკილაშვილი. რადიო „მოზაიკას" ჟურნალისტი ანა ჯიოშვილი და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ლელა ბზიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ფრაქცია „გორი-საქართველოსთვის" თავმჯდომარე მამუკა ფანიაშვილი;

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრების: მამუკა ფანიაშვილის, მერაბ გოხელაშვილის და მაია ბოლაშვილის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში;

შეხვედრა გახსნა სხდომის თავმჯდომარემ მამუკა ფანიაშვილმა, რომელმაც გააკეთა განმარტება, იმის თაობაზე, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

მან ასევე დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მისი აზრით საჭიროა მოსახლეობა აქტიურად იყოს ჩართული

საკრებულოს საქმიანობაში, დაესწროს საკრებულოსა თუ ფრაქციის სხდომებს და თავისი აზრი დააფიქსიროს. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მამუკა ფანიაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: პაატა კასრაძემ და ევგენი ბასილაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

მამუკა ფანიაშვილმა სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მერაბ გოხელშვილს, რომელმაც გააკეთა განმარტებები მიმდინარე პერიოში გაწეული საქმიანობის შესახებ. ისაუბრა ამომრჩეველთან შეხვედრების დროს გამოვლენილ ინფრასტუქტულულ და სოციალურ პროექტებზე, მათი მოგვარების გზებზე. მისი აზრით საჭიროა დროულად დასრულდეს ქალაქის მიწათსარგებლობის გენგეგმაზე მუშაობა, რათა არ მოხდეს ქალაქის ქაოტური განაშენიანება

აზრი გამოთქვა: ხატია სტეფანოვმა ; თორნიკე ბასიშვილმა.

გადაწყვიტეს: ამომრჩეველთან ერთად მოხდეს პრობლემების გამოვლენა და მათი გადაწყვეტის გზების დაგეგმვა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მაია ბოლაშვილს, რომელმაც ისაუბრა ასევე მიმდინარე პერიოში გაწეული საქმიანობის შესახებ ამომრჩეველს დეტალურად გააცნო მიმდინე პერიოდის ანგარიში . ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდების აქტიურობაზე და დაპირდა მათ სხვადასხვა სახის მუნიციპალურ პროექტებში ჩართვას.

აზრი გამოთქვა: ანა ჯიოშვილმა; ნონა ასკილაშვილმა

გადაწყვიტეს: ამომრჩეველთან ერთად მოხდეს პრობლემების გამოვლენა, ეტაპობრივად ჩაერთვებიან ახალგაზრდებიც შემდგომი წლის ბიუჯეტის

პრიორიტეტების დაგეგმვაში, რათა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და პროგრამები მორგებულ იყოს მათ საჭიროებებზე. და მათი გადაწყვეტის გზების დაგეგმვა.

საკრებულოს წევრი : მამუკა ფანიაშვილი;

საკრებულოს წევრი : მერაბ გოხელაშვილი

საკრებულოს წევრი : მაია ბოლაშვილი